



# სამედიცინო კანკეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის გამოსცემა  
**გამოდის 1957 წლიდან**  
№ 8 (367) 2023 წელი



*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ჩვენი Alma Mater-ი, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.*

*მადლობა ყველას, ვინც სტუდენტობის წლები ჩვენი ჰომოფესიული და პიროვნული ზრდის წლებად აქცია, ვინც მედმივად ზეინადა იმაზე, რომ ყოველი მომდევნო დღე სწავლის პირობებში უფრო და უფრო საინტეგრესოდ დატვირთული გამხდარიყო, ვინც მედმივად მზად იყო ჩვენთან ერთად გამყარებოდა ყველა სიხარულს, ვინც მსახდაჭეხას გვიცხადებდა ყველა ახალი იდეის გაჩენისთანავე და ცდილობდა, რომ ჩვენი ინიციატივა ხოცმეხსმელი და შედეგიანი ყოფილიყო.*

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ჩამოგვიყალიბა მაღალი სტანდარტის შეგვიძნება, რომელიც ფონად გაჰყვება ჩვენს ახიოხიურ წინსვლას მთელი ცხოვრების მანძილზე; მოგვცა დიდი მოტივაცია სწავლისა და პიროფესიული საქმიანობისთვის.*

*მადლობა მშობლიუი აქიას – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და მის მმახიოვერ კუნდს!*

*თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველოების სახელით,  
სტუდენტური თვითმმართველოების პრეზიდენტი  
ლადო გავრიადა*

# 2009 წლიდან დღემდე ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმდენი მნიშვნელოვანი რამ ხდება, რომ მიღწევებისა და წარმატებების სრულ ჩამონათვალს, ცხადია, გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს.

ვეცადეთ, შემთხვევითი შერჩევით პრინციპით გამოგვეკვითხა თანამშრომლები და გვეთხოვა დაესახელებინათ მათთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტები, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2009 წლიდან დღემდე ჰქონდა ადგილი. გთავაზობთ მიღებული პასუხებისგან შემდგარ ჩამონათვალს:

✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMG - Educational Commission For Foreign Medical Graduates - ეს ამერიკული ორგანიზაცია) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

✓ საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ში სწავლის საფასური საერთაშორისო სტუდენტებისთვის არცთუ დაბალია და ბევრ ქვეყანაში არსებულ გადასახადებზე გაცილებით მაღალიცაა. ამჟამად აქ განათლებას იღებს 3400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი, 81 ქვეყნიდან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების დასტურია ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ყოველი მესამე სტუდენტი საერთაშორისო სტუდენტია.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წლებია ფუნქციონებს ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები:

- \* დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;
- \* საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan -ის (გრენობლი, საფრანგეთი). პროგრამის დასრულების შემდეგ ორი - ქართული და ფრანგული დიპლომი გაიცემა.
- \* ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

✓ ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON და სხვა). ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მეცნიერი, ექიმი, ექთანი მონაწილეობს მოკლე და გრძელვადიან საერთაშორისო მობილობის პროგრამებში. სტაჟირებისა და ჩვენი მიღწევების გაზიარების მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხშირია პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორებისა და სტუდენტების ვიზიტები.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მონვეული პროფესორები აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, კანადის, უკრაინის, თურქეთის და სხვა ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტებიდან კითხულობენ ლექციებს, ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, საჩვენებელ ოპერაციებს, პაციენტთა კონსულტაციებს... უკვე 600-ზე მეტი ასეთი ვიზიტი განხორციელდა.

✓ გერმანიის პედიატრთა და მოზარდთა მედიცინის საზოგადოების (DGKJ), გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროსა და თსუ-ის ერთობლივი დაფინანსებით, ხორციელდება ერთობლივი პროექტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. პროექტის ფარგლებში გერმანელი პროფესორები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესსა და კლინიკურ აქტივობებში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ექიმთა უწყვეტი გადამზადების პროცესში. პროფესორი იოაჰიმ ფრაიპორსტი ამ პროექტის ფარგლებში ეწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. პროექტის სულისჩამდგმელი არის თსუ-ის საპატიო დოქტორი, მსოფლიოში აღიარებული პედიატრი, პროფესორი მიხაელ ლენცე, რომელიც 2013 წლიდან საქმიანობდა თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. 2015 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და განუვლი ჰუმანიტარული დახმარებისათვის, პროფესორი ლენცე დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, 2019 წლის 23 მაისს, დაფუძნდა ევროპის ჯანდაცვის სპეციალისტთა განათლების ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა საქართველოში - AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. ეს არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმატებაცაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე. AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ძირითადი მიზანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის სამედიცინო განათლების თანამედროვე ტენდენციების გაზიარება, თემატური ტრენინგების ჩატარებაა.

✓ თსუ-ში გაიხსნა HORIZON Europe-ის საგრანტო ოფისი, რომელიც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც ISO-ს ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო! აღნიშნული სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მენეჯმენტი ხორციელდება მაღალკვალიფიციურად, სხვადასხვა კრიტერიუმების შესაბამისად.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ღვაწლმოსილ პროფესორებს ემერიტუსის სტატუსი ენიჭებათ, რაც მათ პატივისცემას და მატერიალურ უზრუნველყოფას ემსახურება. ემერიტუსს პენსიაზე გასვლის შემდეგ უნარჩუნდება პროფესორის ხელფასი.





# ბენიერების თრეპენცებით და უბერებელი სუკრით

დასაწყისი მე-3 გვერდიდან

ნიალური ხელოვნების. მარიამ გრიგალაშვილი, თამარ დეკანო-სიძე, გია ყანჩელი, რობერტ სტურუა! მე ბედნიერი ვიყავი მათთან ურთიერ-ობით!

– მგონია, რომ ერთი დიდი საუნჯე, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ გტოვებთ, თქვენი მეუღლეა – ქალბატონი მარინა, რომელიც საოცარი ჰარმონიით ავსებს თქვენს ყოველდღიურობას... (მკითხველისთვის, ვინც არ იცის, ვიტყვი, რომ ქალბატონი მარინა მამალაძე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სტომატოლოგიის საერთაშორისო კოლეგიის /ICD/ ევროპის სექციის ვიცე-რეგენტი, სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო-კვლევითი ცენტრის „უნიდენტი“ დირექტორი გახლავთ, სამკურნალო და სასწავლო-კვლევითი მუშაობის დარგში) ასეა, არა? იქნებ გვიამბოთ ორი არაჩვეულებრივი



პროფესორი მარინა მამალაძე

ექიმის ცხოვრებისეულ ტანდემზე, თქვენს ერთობასა და თანაცხოვრებაზე. რამდენი წელია, ერთად ხართ... მგონი სტუდენტობიდან დაიწყო თქვენი ოჯახური ცხოვრება და დღეს უკვე ორივე პროფესორი ბრძანდებით, გვათ შვილები, ისინიც წარმატებული ექიმები და პროფესორები...

– მამინე 16 წლის ვიყავი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დაწყების პირველ დღეს, მესამე კორპუსის წინ, კიბეებზე უღამაზესმა თვალებმა შემომანათა. დავიბენი, გავშეშდი, გავშტერდი და ვინ იცის კიდევ რა დამემართა... (მოგვიანებით მივხვდი – ეს პირველი ნახვით შეყვარება იყო). გონზე რომ მოვედი ის სიღამაზე იქ აღარ დამხვდა. გაცნობა ვერც მოვასწარი და ვერც მოვახერხე. შევხვდები მას ოდესმე? და თუ ვნახავ, იგივე აღარ უნდა მომივიდეს... ძალიან გამომართლა – ჩემი ჯგუფელი აღმოჩნდა... მართალია, მე ვიყოჩაღე, თუმცა მასაც ძალიან არ გაუწვავლებივარ.

18 წლის ასაკამდე თავი ძლივს მივიტანე. სულ მარინაზე ვფიქრობდი, სრულფასოვნად ველარაფერს ვაკეთებდი, მის გარეშე ცხოვრება აღარ შემიძლო. მეორე კურსზე 4 მეგობრის ხელშეწყობით საიდუმლოდ ხელი მოვანერეთ და ოდესაში „გავიპარეთ“... ჩვენ ახლაც ვთვლით, რომ ოდესაზე უფრო ლამაზი და ნაკლებად საბჭოური ქალაქი იმ დროს არ იყო. მთელი ჩემი ცხოვრება მარინა მამა-



ლადეს მივდე და ვერ ვენევი. ვერც ექიმობაში, ვერც მასწავლებლობაში, ვერც მეცნიერებაში, ვერც თავდაუზოგავ შრომისმოყვარეობაში, ვერც სიახლეებისადმი დაუოკებელ ლტოლვაში, ვერც საერთაშორისო კავშირებსა თუ ცნობადობაში.

მე კი არა, ვინ დაენევა მას, იმდენი მონაწილე და მიმდევარი ჰყავს! დიპლომად დელ სწავლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, დიპლომირებულ სტომატოლოგთა რაოდენობა, ვინც უშუალოდ მარინა მამალაძის ხელმძღვანელობით გაიარა დიპლომის შემდგომი სწავლება, უკვე დიდი ხანია ოთხნიშნა ციფრით გამოიხატება.

წლების წინ, ქართული სტომატოლოგიის ერთ-ერთმა კარგად ცნობილმა უხუცესმა პროფესორმა (სახელს არ დავაზუსტებ, რადგან მისგან ნებართვა არ ამიღია) მარინას უთხრა: „შენ შეძელი, რომ სტომატოლოგიაში ვიყოფიე შრომა „სვეტობად“ გექციაო“.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთ სიტუაციაში, ვარჯიშის დროს, ვახერხებდი მარინას და ვნუოდი და თქვენ წარმოიდგინეთ, გამესწრო კიდევ: მე ველოსიპედით, ის კი ფეხით დადიოდა (იცინის), მაგრამ ვინ გაცალა? პანდემიის პერიოდში, 62 წლის ასაკში, ველოსიპედის ტარებაც ისწავლა და ისე დაქრის, რომ მის დევნაში ბევრს ვუნახივარ გასაჭირში ლისის ტბაზე თუ შავიზღვისპირეთში.

49 წელი ერთად ყოფნის მიუხედავად მარინა ჩემს გაცვებას იმდენჯერ ახერხებს, რამდენჯერაც თვითონ მოესურვება. ისე, ცოდავ გამხვლილი სჯობს – მეც ვუნყოფ ხელს (იცინის): მრავალი წლის წინ, ინდოეთში მივლინებით ყოფნისას ნაყიდი „ფეხაჯურ-კოჭაჯური“ ვაჩუქე და მგონი მაშინ თბილისში პირველი ქალი იყო, ვინც ამას ატარებდა. სხვათა შორის დღემდე არ მოუხსნია... მიმდევრებიც მალე გამოუჩნდნენ (იცინის).

ჩვენი ქალიშვილი, დეა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. თვითონ ასე ხუმრობს: „მე, დედა და მამა ერთად გავიზარდეთ“. დეას კარგი მეუღლე ჰყავს. მათგან 2 შვილიშვილი გვყავს. ნიცა, ფრანკფურტში გოეთეს უნივერსიტეტის სტუდენტია და პარალელურად გერმანიის საფონდო ბიზნესზე მუშაობს. სულ ახლახანს, აშშ-ის ყველაზე დიდმა ბანკმა – JP Morgan Chase-მა, მასთან დაასრულა მრავალეტიპიანი ინტერვიუები და ოქტომბრის თვიდან ნიცა მუშაობას გერმანიაში, ამ ბანკის ერთადერთ ფლიგალში – ფრანკფურტის ოფისში იწყებს. მისი ასეთი დიდი წარმატება, სხვა ფაქტორებთან ერთად გერმანული და ინგლისური ენების საფუძვლიანმა ცოდნამაც განაპირობა, ზუკა – მეთერთმეტეკლასელია.

ოთომ განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაიწყო. აქ 6 სემესტრი ისწავლა, შემდეგ კი სწავლა გერმანიისა და ავსტრიაში განაგრძო. უფრო სწორად, გერმანიაში განათლება პირველი სემესტრიდან დაიწყო. სამწუხაროდ, ამ საუკუნის მეორე ათწლეულამდე, გერმანულ უნივერსიტეტებში პრაქტიკულად არ ხდებოდა საქართველოში მიღებული სამედიცინო განათლების აღიარება.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ოთოს გერმანული გოგონა შეუყვარდა და დაქორწინდნენ. ამჟამად მიუნხენში ცხოვრობენ. 3 შვილი ჰყავთ: ლუკა, მარი და ნია. ჩვენი რძალი ოფთალმოლოგია, კარგად ისწავლა ქართული ენა, შვილიშვილებიც ქართულად გველაპარაკებიან. ოთო მიუნხენში საკუთარ შეიდავაარძლიან სტომატოლოგიურ კლინიკასა და სატექნიკო ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. ორთოდონტიის გარდა, სტომატოლოგიის ყველა მიმართულებაში მუშაობს. დიდ პატივად თვლის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორის სტატუსს და ყოველსემესტრულად კითხულობს ლექციებს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების, რეზიდენტების, ახალგაზრდა სპეციალისტების და ექიმებისთვის.

ჩვენი 5 შვილიშვილიდან მხოლოდ ერთი, ზურაბი გვყავს საქართველოში და ამიტომ მისი „აქციების“ ფასმა ძალიან აინია (იცინის).

ისე, არ არის ადვილი მუდმივ მონატრებაში ცხოვრება...

– ებნერ-უმენახი: მთელი ცოდნა იწყება ეჭვით და მთავრდება რწმენით. რისი რწმენა გაგიჩინათ ათწლეულებით მიღებულმა განათლებამ და გამოცდილებამ?

– ასეა ცხოვრებაც, პროფესიაც და სი-

ყვარულიც. იწყება ეჭვით და მთავრდება რწმენით.

ზოგადად, ეჭვიანი კაცი არ ვარ. ეს იქნებ არც არის კარგი, მაგრამ რაღას ვიზამ – ასეა. თუმცა ებნერ-უმენახი ეჭვის ქვეშ, ალბათ ამ სიტყვის ხალხში აღიარებულ და დამკვიდრებულ მნიშვნელობას არ გულისხმობდა.

ეჭვად მომავლის, ცხოვრების სხვადასხვა შემადგენლის, ან ანი დასაგემის, წარსული ისტორიების ანალიზის და მათი შედეგების შეფასების პროცესს მივიჩნევ. იცით რამდენჯერ მიფიქრია – სწორად მოვიქეცი ექიმობა რომ ავირჩიე? სწორი იყო ჩემი პირადი ცხოვრების ხაზი? სწორად დანაწევტილებებს ვიღებდი უნივერსიტეტის მართვისას? ან სწორია ჩემი, როგორც ქართველი კაცის პოზიცია ჩემი ქვეყნის წინაშე? მსგავსი კითხვები, შესაბამისად მსგავსი ეჭვები, უთვალავ ადამიანს ანუხებს, რადგან თითოეული ალბათ, ხინჯის რაღაც პატარა მარცვალი ურევი... მაგრამ მერე, დამჯდარ და განვლებულ გონებაზე ანალიზის დრო რომ მოგივა, შენს თავზე ბრაზი გაგივლის და ხშირად თვალის გაგვიშტერდება, საამო პასუხებიც ნელ-ნელა მოვა.

ბედნიერი ვარ:

– ექიმობა რომ ავირჩიე, რომ ჩემს მეხსიერებაში სევედიანი და მტირალი ბავშვების გამოსახულებები, მათმა ცოცხა და მფრთხილმა, მაგრამ გახარებულმა, ჯანმრთელმა და ლიმილიანმა სახეებმა შეცვალა;

– რომ ჩემს ასაკში, ჩემივე ტოლი, საღი გონებისა და დიდი ენერჯის მქონე მეგობრის გვერდით ვცხოვრობ, რომელიც კვლავ ძალიან მომწონს და რომელსაც, ეჭვი მაქვს, კვლავაც მოვწონვარ;

– რომ ჩემი წილი ბრძოლა მოვიგე ჩემი გამზრდელი უნივერსიტეტის განვითარების, კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეში, რომ ეს საქმე ჩემს ერთგულ გუნდთან ერთად ვაკეთე;

– ბედნიერი ვარ, რომ გაჩნდი საქართველოში, რომ მთელი არსებით მიეყვარა ეს ქვეყანა, რომ მისი ხალხის ჯანმრთელობისა და განათლების სამსახურში ვარ, როგორც ხელმძღვანელი და როგორც რიგითი ჯარისკაცი. მახდენიერებს ქართული, გამართული მეტყველება, ამ ენაზე ჩემი აზრის გამოთქმა, წერა და სხვისი, უფრო უკეთესის, ნაკითხვაც და მოსმენაც.

ცხოვრებამ არაერთხელ შემომკრა თავისი ცივი და მტკივნეული თათი, ბევრჯერ დამაყენა ბრძოლის აუცილებლობის პირის-



დეა ვადაჭკორია მეუღლესთან ერთად



ოთო ვადაჭკორია მეუღლესთან ერთად



შვილიშვილები



პროფესორი მარინა მამალაძე შვილიშვილებთან ერთად

პირ, ბევრჯერ წამაბორძიკა კიდევ, მაგრამ ამავე ცხოვრებამ ბევრი სიკეთეც დამანახა, მრავალი ადამიანი აღმფრთოვანა და უდიდეს საჩუქართან – რწმენასთან ერთად, უბერებელი სევედაც გადმომცა – რა ხანმოკლე ყოფილა იგი ...

სასუბრა ლელა მუჰაბანიანი



ველოსიპედებით სეირნობისას

# ჩვენი შვილები უნდა იყოს მშვენიერები



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა ღონისძიებაზე

ადამიანის დასახსიათებლად „ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი სიტყვები: „კაცი იყო საქმისადაც შესაფერი, შესატყვისი; ასრე უნდა მოხმარება, გაჰვიდოდეს ვისცა ვისი./ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“. ეს სტრიქონები, ისე როგორც მთელი პოემა, ზედრობულია და ისეთი ღირებულებას ეხება, რაც არასდროს იცვლება: თუ კაცი თავისი საქმის (თანამდებობის და მისი თანამდევნი პასუხისმგებლობის) შესაფერისია, ეს ის ქვაკუთხედი, რომელზეც შეიძლება უმტიკიცესი პიროვნული თვისებები გამოიკვეთოს. ყველაფერს გვირგვინად კი ადამიანების სიყვარული, მათი თანადგომა, მათი გასაჭირის გაზიარება ადგას.

თუ პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (კანცლერად) მუშაობის პერიოდს გადავხედვით თვალს, ყველაზე მარტივად სწორედ ამ სიტყვებს ეხმარება განვლილი წლები: აქ იყო თანამდებობის მოთხოვნებისადმი სრული თანხედრად და, ამავდროულად, დიდი ზრუნვა ყველა თანამშრომელზე, როცა თითოეულ მათგანს ისე იღებდა ხელმძღვანელი, როგორც „ძმა და თვისი“. საქმიანობა რამდენად შედეგიანი იყო, ამაზე არაფრის თქმა საჭირო: ერთი შეხედვითაც ცხადზე ცხადია, რა გაკეთდა... ამენბული სასწავლო კორპუსები და საავადმყოფოები, გამაგრებული ისტორიული სასწავლო კორპუსი, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სასწავლო კორპუსებში, გამშვენიერებული რეკრეაციული სივრცეები სასწავლო კორპუსებთან და თსსუ-ის კლინიკებთან...

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე ქირურგიული სტომატოლოგიის პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია; არის 35-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, ერთი სახელმძღვანელოს ავტორია კოლექტივის წევრი. ამასთანავე, არაჩვეულებრივად უძღვება ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ თანამდებობას.

ბატონი ზურაბი სიტყვაზე არ არის, ურჩევნია ყველა თავისი ემოცია და განზრახვა საქმით გახადოს თვალნათელი, თუმცა, ჩვენ მაინც შევხვდით და ვეცადეთ, მისი განვლილი ცხოვრების შესახებ საუბარი მკითხველამდე მიგვეტანა:

**– ბატონო ზურაბ, გთხოვთ, ფიქრით გადაინაცვლოთ უკან, თუნდაც, 40 წლის წინ... მაშინ თუ წარმოიდგენდით მომავალს ისეთად, როგორც რეალურად გარგუნდა ცხოვრებამ? როგორ იწყებდით და, საერთოდ, როგორ შეაფასებდით გზას სიჭაბუკიდან დღემდე?**

– ექიმობა არ მინდოდა, იურისტობა მაინტერესებდა, მაგრამ დედას ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ექიმი გავმხდარიყავი. ის ფრანგულის პედაგოგი იყო და, სხვათა შორის, მეც მასწავლიდა. როგორც ჩანს, მისი ავტორიტეტი მძალვრად მოქმედებდა ჩემზე და ბოლო კლასებში სწავლისას გადავწყვიტე, სამედიცინო სფერო ამერჩია პროფესიული საქმიანობისთვის, რაც არასდროს მინანია და არც ახლა ვნანობ. მეტიც, ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო ჩემს ჭაბუკურ გადაწყვეტილებებს შორის.

47 წელი გადის ამ შემოდგომაზე, რაც პირველად მოვედი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (მაშინ ინსტიტუტში). მას მერე, რაც სტუდენტი გახვდი, აქედან არსად წავსულვარ. ყველა ეტაპი გავიარე: სტუდენტობა, კლინიკური ორდინატურა, შემდეგ – ჯერ დაუსწრებელი და მერე დასწრებული ასპირანტურა...

დაუსწრებელ ასპირანტურაში სწავლის პარალელურად ცხინვალში ვმუშაობდი. იქედან ბევრი კარგი მოგონება დამრჩა და, ცხადია, ტკივილიც ახლავს ამ მოგონებებს, რადგან ახლა საქართველოს ეს ნაწილი ხელოვნურადაა მოწყვეტილი სამშობლოს. ცხინვალის სტომატოლოგიური კლინიკაში, სადაც მაშინ ვმუშაობდი, ხელმძღვანელი შე-

სანიშნავი ქალბატონი, მარგარიტა ბოლოთავეა, იყო. თანამშრომლები ქართველებიც იყვნენ, ოსებიც. ამაზე არც ვფიქრობდი, ვერც კი ვარჩევდი ერთმანეთისგან, ვინ ვინ იყო. წარმოუდგენელია და ძალიან სამწუხარო, რომ ამ ხალხის ხელოვნური გახლეჩა და დაპირისპირება მოხდა, ამას ამდენი სიცოცხლე შეენირა და ამდენი შუაზე გაყოფილი სოფელი, კარმიდამო, ოჯახი დაგვრჩა.

ასპირანტურაში სწავლა რომ დავასრულე, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, გახვდი ასისტენტი, შემდეგ – დოცენტი, შემდეგ – პროფესორი... ვიყავი ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელი.

**– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ის თქვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია სტუდენტობიდან ერთ-ერთ უმაღლეს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობამდე. რას ნიშნავს თქვენთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი?**

– შემიძლია ერთი სიტყვით გითხრათ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემთვის ყველაფერია. მან ძალიან ბევრი რამ მომცა, ბევრი მასწავლა და ბევრ რამზე დამაფიქრა. როგორც დღეს ვარ, სწორედ უნივერსიტეტის დამსახურებაა... ჩემი ბიოგრაფიის მთავარი შტრიხები სწორედ აქ იკვეთება.

**– ამბობენ, საქმიანი ადამიანები ოჯახისთვის ნაკლებად იცლიანო; თქვენ თუ გქონდათ საკმარისი დრო შვილებთან ურთიერთობისთვის? თქვენი შვილები წარმატებულები არიან თავის პროფესიაში. გვიამბეთ მათ შესახებ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ბედნიერი ხართ როგორც მამა და მათი აღმზრდელი?**

– დრო მართლაც ცოტა რჩება, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, რომ ვიგრძნო, რამხელა ბედნიერებაა ოჯახთან ყოფნა და შვილებთან ურთიერთობა.

მე დიდი ოჯახი მაქვს, განსაკუთრებით მიყვარს ის დრო, როცა შეგიძლია, ყველა ერთად ვიყოთ. მაგალითად, ზაფხული... მართლაც ბედნიერი ვარ ჩემი შვილებით, შვილიშვილებით... ექვსი შვილიშვილი მაყავს.

კვირდამანდემის დროს, როცა ყველა შინ ჩავიკეტებ, ჩემი ოჯახის წევრები ერთად ვიყავით თბილისთან ახლოს, აგარაკზე; იმ რთულ დროს ეს ერთად ყოფნა იყო ერთი დიდი ბედნიერება. სწორედ ამაზე ვფიქრობდი ხოლმე ყველაზე ხშირად, რომ ოჯახთან ყოფნის ბედნიერებაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს!

მთელი ჩემი ოჯახი დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. მეუღლე – ნანა თათარაძე ექიმა, ადრე თავისი სპეციალობით მუშაობდა – კარდიოლოგად. ახლა ჩემს კომპანიაში მუშაობს. ჩემმა სამივე შვილმაც – თამარმა, რამაზმა და ნინომ, სამედიცინო სფერო აირჩიეს მომავალი საქმიანობისთვის. თამარი სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო კვლევითი ცენტრის – „უნიდენტის“ ექიმი სტომატოლოგია; რამაზი თსსუ-ის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკის „ა-1 Dentos“-ის დამფუძნებელი და დირექტორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ნინო – სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო კვლევითი ცენტრის „უნიდენტის“ და სტომატოლოგიური კლინიკის „ა-1 Dentos“-ის ექიმი ორთოდონტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მთავარი სპეციალისტი და ორთოდონტიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორია. მახარებს მათი წარმატებები.

**– როგორ შეფასებთ მისცემთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებულ განათლებას?**

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საქართველოში ყველაზე ძლიერ უმაღლეს სასწავლებლად ვთვლი. მას ბევრი რამ აქვს ერთდროულად ისეთი, რის გამოც ეს არჩევანი უაღტერნატივოდ გამართლებულია. ამასთანავე, მომხრე ვარ, სასწავლებლად ნებისმიერ ქვეყანაში წასვლისაც... ახალგაზრდამ განათლება უნდა მიიღოს საქართველოშიც, მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავის სამშობლოს და აქ გააგრძელოს საქმიანობა. ეს არის ჩემი მთავარი პოსტულატი.

შეველი, რომ ჩემი შვილები დამერწმუნებინა ამაში. ორი მათგანი, რამაზი და ნინო, უცხოეთშიც იღებდა განათლებას, მაგრამ ჩამოვიდნენ საქართველოში და აქ აგრძელებენ პროფესიულ ცხოვრებას.

ნინოს მეუღლე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა და მას წარმატებული

სამსახური ჰქონდა – იქაური „კოკა-კოლას“ ოფისში წამყვან პოზიციაზე მუშაობდა. მაინც დატოვა ყველაფერი და დღეს საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის ხელმძღვანელია.

ჩემი უფროსი შვილიშვილი ბერლინში, ამერიკულ უნივერსიტეტში, სწავლობს. მასთანაც სულ ამაზე ვსაუბრობ, რომ კარგია განათლების მიღება პრესტიჟულ სასწავლებელში, მაგრამ აუცილებლად უნდა დაბრუნდე და შენს ქვეყანას ემსახურო.

**– თქვენი შვილები თუ გესაუბრებოდნენ ამაზე, რომ აუცილებლად საქართველოში გეცხოვრათ და გემუშავათ?**

– სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ. ძალიან ბედნიერი ვიყენ იმით, როგორც ცხოვრობდი და რასაც ვაკეთებდი. ორივემ დიდხანს იცოცხლა, ყველა ჩემი წარმატების მომხსენი იყნენ, თვლიდნენ, რომ იმედები გავუმართლედ და, მართლაც, ბედნიერი წავიდნენ ამქვეყნიდან. მოესწრნენ შვილიშვილებს, შვილთაშვილებს.

**– ვინ მიგაწინათ თქვენი პროფესიული ზრდის გზაზე უმთავრეს ავტორიტეტებად?**

– ორი ადამიანი შემხვედრდა ცხოვრებაში: პროფესორი ალექსანდრე ბრეგაძე და პროფესორი ზურაბ გვენციაძე, რომელთა დიდი წვლილია ჩემს ჩამოყალიბებაში ადამიანად, პროფესიონალად, მოქალაქედ. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა მათთან ერთად ვრჩებოდი და ვმორიგებოდი მაშინ ქალაქის მე-5 საავადმყოფოში, რომელსაც მიხაილავის საავადმყოფოს ეძახდნენ. იქ ვეზიარე პირველად ექიმობას, იქ გადავწყვიტე, რომ გავმხდარიყავი ყბა-სახის ქირურგი, დიდხანს ვიმუშავე პრაქტიკოს ექიმად.

ქირურგიის შრომა საკმაოდ მძიმეა, სტრესულიც, მით უმეტეს, თუ ახალგაზრდა ხარ და გინევს მარტო მორიგობა. აი, სწორედ ასეთ რთულ დროს ვგრძობდი ჩემი მასწავლებლების – ბატონი ალექსანდრეს და ბატონი ზურაბის თანადგომას, მხარდაჭერას. არასდროს დამავიწყდება მათი ამაგი.

**– კიდევ ვინ შეგიძლიათ, დასახელოთ თქვენს ცხოვრებაში ადამიანად, რომელმაც, ასევე, ფასდაუდებელი თანადგომა გამოხატა თქვენ მიმართ?**

– საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, რომ დავეკორნინდი. ჩემი მეუღლე მუდმივად მხარს მიჭერდა. ჩემს ყველა გადაწყვეტილებაში ვგრძნობდი მის თანადგომას. იყო პერიოდები, როცა მოსკოვში მინევდა ყოფნა დისერტაციებთან დაკავშირებით. ის სრულიად მარტო რჩებოდა სამი შვილით თბილისში. არ მახსოვს, ამის გამო დაუნწუნოს. ეს მაძლევდა ძალას, რომ პროფესიაში სრულყოფილად მეველო. შეუძლებელია მისი თავდადებული შრომისა და ღვაწლის ფასი დავვიწყო.

საერთოდ, იღბლიანი ვარ იმ თვალსაზრისით, რომ განგებამ ჩემთვის ბევრი კარგი ადამიანი გაიმეტა. არ ყოფილა არც ერთი ეტაპი ჩემს ბიოგრაფიაში, რომ გვერდით არ მყოლოდნენ ერთგული და დასაყრდენი ადამიანები, გნებავთ, ოჯახის წევრების, გნებავთ – მეგობრების, პედაგოგების, ან თანამშრომლების სახით. მათი უზომოდ მაღლიერი ვარ და როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში მხვდება რაიმე პრობლემით შეწუხებული ადამიანი, ცდილობ, ისეთივე გულელი ვიყო მისთვის, როგორც ჩემთვის იყვნენ ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები...

ისე არაფერი მახდნიერებს, როგორც სხვებზე ზრუნვა. ვთვლი, რომ სიკეთე არასდროს იკარგება და „რასაც კანცლერის თანამდებობა მოითხოვს, მეორე

რე ურთულესი „პროფესია“ – ეკონომისტიც უნდა იყო, მენეჯერიც, ბუღალტერიც გესმოდეს, ფინანსისტიც იყო... ეს ყველაფერი როგორ შეძელი?

– აქ რომ მოვედი, უკვე მქონდა ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება. ეს არ არის ადვილი, მაგრამ მე შესანიშნავი გუნდი მყავს. ხელმძღვანელისთვის, რომელსაც შეუძლია, ან არ შეუძლია, მაგრამ გაუმართლებს და კარგ გუნდს შეკრებს, ყველაფერი ადვილი ხდება. ამ პოზიციაზე მუშაობის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. არ მიყვარს იმაზე საუბარი, რა გაკეთდა ჩემი კანცლერობის პერიოდში. ოტია იოსელიანი ამბობდა: „, ნუ ვიცით: მე ეს ვქენი, მე ის ვქენი, ეს გავაკეთე და ის გავაკეთე! თუ შენ მეტს არავის დაუნახავს, რა გალაპარაკებს და თუ სხვამაც იცის – ის იტყვის!“

ერთი კი უდავოა: რაც გაკეთდა ჩემი გუნდის დამსახურებაა.

**– თქვენი და თქვენი გუნდის შრომის შედეგები თვალსაჩინოა და ამას ყოველდღიურად ვგრძნობთ და ვხეხობთ, მაგრამ მინდა გესაუბროთ, ერთი შეხედვით, ოდნავ განსხვავებულ პროექტზე, რომელიც თქვენი ჩართულობით და ინიციატივით განხორციელდა და რომელზეც ყველაზე სენსიტიური განწყობით საუბრობთ – ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიაზე. მინახავს თქვენი ფოტოები ბენეფიციარ ბავშვებთან, პატარებთან, რომლებსაც განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებათ. მათთან სრულიად სხვაგვარად ემოციური და მგრძობიარე ჩანსართ...**

– ასეა, ვთვლი, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებზე ზრუნვა ძალიან დიდი საქმეა. ყველა ოჯახს, რომელსაც ასეთი პატარა ჰყავს, ძალიან დიდი ნებისყოფა და რესურსები სჭირდება, რომ მათი ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდეს და უკეთ ადაპტირებული შეხედნენ ზრდასრულობის ასაკს. ცხადია, ამას მარტო ოჯახი ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა, დაგვეარსებინა ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია, სადაც გამოცდილი სპეციალისტები ზრუნავენ პატარებზე და მშობლებისა და მათი საერთო ძალისხმევით ხელშეხახები შედეგები დგება. რაც შეეხება ჩემს ემოციას ასეთ პატარებთან დაკავშირებით, ვთვლი, რომ ისინი საოცარი, სიკეთით სავსე ბავშვები არიან. არცერთი მათგანი არ უნდა დაიკარგოს და დაიარგოს. მათ გვერდით ყველანი უფრო კეთილშობილები და მგრძობიარეები ვხვდებით. მაღლობა კიდევ ერთხელ ჩემს გუნდს და ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის თანამშრომლებს. მეამაყება, რომ ასეთ საქმეს ვაკეთებთ. აქვე გეტყვით, რომ ამ მიმართულებით დაგეგმილი გვაქვს გაზრდებით ბენეფიციართა რაოდენობა, საამისოდ გამოვყოთ ახალი ლოკაციები სხვადასხვა კეთილშინსობილ სივრცეებში... ვინ უნდა იტვირთოს ეს საზრუნავი, თუ არა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, – უნივერსიტეტმა, სადაც მო-



შვილები აღნიშნავენ მამის დღეს




მეუღლესთან ერთად



ოთხი თაობა: ორი რამაზი და ორი ზურაბი

# ჩვენი შვილები და ჩვენი შვილები



მთაში მოგზაურობისას

დასაწყისი მე-5 გვერდიდან

მაგალი ექიმები, სტომატოლოგები, რეაბილიტოლოგები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები, ფარმაცევტები, ბაკალავრი



განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე პატარასთან ერთად

ექიმები ყალიბდებიან...

– თქვენ მართლაც ძალიან კარგი გუნდი შეკრიბეთ. თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ძალიან კარგი ხელმძღვანელი ხართ, ოღონდ, არსებობს ერთი რამ, რასაც ვერ იტანთ და რაც ყოველთვის ნეგატიურ რეაქციას იწვევს თქვენში – ტყუილი.

– და არის ვინმე, ვისაც მოსწონს, როცა ატყუებენ? ვფიქრობ, ყველა ასევე ნეგატიურად იღებს სიცრუეს. გამოცდილებასთან ერთად, უფრო და უფრო ძნელია, მოგატყუოს ვინმემ. ჩემ ირგვლივ მატყუარები არ მინდა იყვნენ...

– მაგრამ გამონაკლისი ვერ იქნება – ქვეყანა ტყუილშია ჩაძირული, ყველგან შეიძლება ტყუილი იყოს...

– მერე ტყუილი ისეგება, სულ არ არის საჭირო, შენ ფიქრობდე, როგორ დასაჯო ტყუილის მთქმელი. მას ცხოვრება სჯის.

გულწრფელობას არაფერი სჯობს. თუმცა, სიმართლე მაამებელი არ არის და, შეიძლება, ამის გამოც დაისაჯონ ადამიანები, მაგრამ, იცოდეთ, ეს დროებითია... მართალი კაცი ყოველთვის გამარჯვებული იქნება ბოლოს.

– თქვენ ბრძანდებით ხელმძღვანელი; ალბათ, ძალიან ძნელი იყო, თითოეული თანამშრომლის თვალში შეგექმნათ ისეთი ავტორიტეტი, როგორც გაქვთ. რა მიგაჩნიათ მთავარ თვისებად, რომელმაც თანამშრომლების სიყვარული და თქვენდამი ერთგულება განაპირობა?

– ჩემდამი ერთგულება საქმისადმი ერთგულებაა და სხვა არაფერი... რაც შეეხება თანამშრომლებისგან სიყვარულს, თუ ეს ასეა, ალბათ, სამართლიანობის შედეგია. სულ ვცდილობ, სამართლიანი ვიყო. არ მიყვარს მიკერძოება და კაცზე აუგის თქმა...

მეორე მხრივ, არის შემთხვევა, როცა უნდა მცდარი ნაბიჯი შეაფასო, გამოასწორო. ამ შემთხვევაშიც, ადამიანზე ისეთ რამეს არ ვიტყვი, რაშიც ობიექტურად დარწმუნებული არ ვიქნები და რასაც პირისპირ ვერ გავიმეორებ.

ცუდიც შეიძლება თქვა, მაგრამ უნდა შეგეძლოს ამაშიც მართალი იყო.

ისე კი, ადამიანში საუკეთესო უნდა დაინახო, და არა უარესი თვისებები. ნაკლი ყველას გვაქვს. შეცდომებიც ყველას მოგვდის. ეს სულ უნდა გვახსოვდეს.

როცა ცდილობ სხვაში უკეთესი დაინახო, ისიც უკეთესი ხდება. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე.

– თავად იღებთ კრიტიკას?

– თუ ისეთი ხელმძღვანელი ხარ, რომ კრიტიკას ვერ გიბედავენ, საქმე დაიღუპება. კრიტიკას ვიღებ, ინტერესით ვუსმენ და მომწონს თუ არაგუმენტირებული და სამართლიანია. ბევრი რჩევა მიმიღია თანამშრომლებისგან და გამითვალისწინებია. მაღლობელი ვარ ამისთვის. ზოგჯერ გვიან მივმხვდარვარ სიმართლეს რომ მეუბნებოდნენ და ამის გამო ბოდიშიც მომიხდია.

ბოდიშის მოხდა არ მეძნელება, – პირიქით...  
– საინტერესოა, თუ გაქვთ რაიმე ნივთი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ და სათუთად ინახავთ?

– საერთოდ, ნივთებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, თუმცა მინც მაქვს ერთი, ჩემთვის ძვირფასი რამ – მამისეული სანადირო თოფი.

საერთოდ, მიყვარს ეს იარაღი. ჩემს მამას და ახალგაზრდობას მახსენებს.

სხვა არაფერი შემიძლია, დავასახელო. ნივთი ნივთია, თუ საჭიროა უნდა გქონდეს და გამოიყენო. მათი აღმატებული წარმოდგენა სრულიად ზედმეტია.

მთავარი ადამიანია და მასთან ურთიერთობა: მეგობრობა, სიყვარული...

– ნივთი შეიძლება დაკარგო, მაგრამ ადამიანი – არასდროს!

– ამბობენ, რომ ძალიან კარგი და ურყევი მეგობრობის უნარი გაქვთ.

– ძალიან ვცდილობ, რომ ასე იყო. ამაზე ვერაფერს ვიტყვი, ალბათ მეგობრებმა უნდა შეაფასონ.

მახარებს ჩემი მეგობრების ყველა წარმატება, ვცდილობ, მუდმივად მათ გვერდით ვიყო... ასეა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშიც. ყველამ კარგად იცის, რომ მე და ზურაბ ვადაჭკორია სტუდენტობის მეგობრები ვართ. არ არსებობს საკითხი, რომელსაც ერთად არ განვიხილავთ. შეიძლება, ეს ზედაპირებ არ ჩანს, მაგრამ ასეა. მიხარია, რომ ჩვენ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობისასაც შევძელით ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის იმედით საქმის სწორად და შედეგიანად კეთება.

– თუმცა, მეგობრობა ტვირთიცაა, მუდმივად მზადყოფნაში უნდა იყო, როგორც სამხედრო პირი და ნებისმიერ დროს მეგობრისთვის შეძლო მხარდაჭერა...

– მე მომწონს ეს „ტვირთი“. ყველაზე მეტი დრო ცხოვრებაში მეგობრებთან მაქვს გატარებული. ყველა სამუშაო კვირას ვამთავრებ მეგობრებთან ერთად და მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ვერცერთ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ, რადგან იქ არ იქნებოდა ჩემი მეგობრები. მაღლიერი ვარ ბედის, ჩემს მეგობრებს რომ დამაკავშიროს. ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, მაგრამ ჩვენი ერთობა ურყევია.

სხვათა შორის, საქართველოს ფასი კარგად რომ გამეგო, ამაშიც მეგობრობა დაამეხმარა. რამდენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ზუსტად შემიძლია გითხრა: არსად ისე არ იციან მეგობრობა, როგორც საქართველოში.

ქართველობა დიდი სიკეთეა.

მიყვარს საქართველოში მოგზაურობა. კახეთში დავდივარ ყველაზე ხშირად, თუმცა, ყველგან ვარ ნამყოფი. თუშეთში წასვლა ვერ მოვასწარი წელს და ამაზე მწყდება გული. მინდა ბევრჯერ ავიდე იქ. შეუძლებელია, ერთხელ ნახო და მერე ამ კუთხის მონატრებით არ იცხოვრო. თუმცა, ყველა კუთხე ეგეთია: სვანეთი, ხევსურეთი, ქართლი, გურია, სამეგრელო... ჩემი იმეო... ყველა ლამაზია... ყველგან მყავს მეგობრები, მასპინძლები.

ჩვენ, რამდენიმე მეგობარი, ხშირად დავგვგამავთ საქართველოს რომელიმე კუთხეში წასვლას. ეს განუმეორებელი გამოცდილებაა, – ღამით კოცონთან, ღია ცის ქვეშ, სულ სხვაგვარად ხედავ და განიცდი ყველაფერს.

– ვფიქრობ, რომ ჩემი ეს გატაცება – საქართველოს კუთხეებში მოგზაურობის

სიყვარული, ძალიან დამეხმარა, რომ უკეთ გამეცნო ცხოვრება, ცოტა უფრო უკეთესი გამემხდარიყავი, ვიდრე ვიყავი.

მიყვარს ნადირობა, განსაკუთრებით, ის ყველაფერი რაც ნადირობას ახლავს თან – საქართველოს ენთაუნერელ, ლამაზ ბუნებაში მოგზაურობა, ბუნების ველური და ხელშეუხებელი პეიზაჟები... სად არ ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოს მსგავსი სილამაზე არსად მინახავს.

ექვს ათეულ წელს რომ გადაცდები, სხვანაირად უყურებ ცხოვრებას. ხვდები, რომ არსებობს ფასდაუდებელი ღირებულებები, რომელთა არგანცდა და ვერაგება სრულიად ალბათაკებს ადამიანს.

მაგალითად, დიდი სიამოვნებაა სიჩუმის მოსმენა. დილით, როცა სახლიდან გამოვდივარ ჩვენს აგარაკზე, ეზოში, ჩიტების გალობა ისმის... ცოტა ხანს ვჩერდები და ვგრძნობ, რომ სამყაროში ადამიანი მარტო არ არის, მას დიდი საუნჯე აქვს ბოძებული და საცოდაობაა, ამას არ განიცდიდეს. მიყვარს დაბინდებულზე ციციანთელის ყურება და ჭრიჭინების ხმა. არ შემიძლია, ახლა ყველაფერი ჩამოვთვალო, თუმცა, სამყარო საესეა იმით, რაც უნდა გიყვარდეს და რაც გაგაბედნიერებს.

– ჩვენ, ქალაქში, ძალიან ბევრ ასეთ სიკეთეს ვერ ვიღებთ, აი, მაგალითად, თბილისის ცა გამონაბოლქვითა დაბინდული, ქალაქგარეთ კი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ნახვაა შესაძლებელი...

– ვარსკვლავებიანი ცა ყველგან შეიძლება იპოვო, არის ადგილები თბილისშიც. დალამბაც მშვენიერია იქ და გათენებაც. ზოგჯერ საგანგებოდ მივდივარ მზის ამოსვლამდე და ვუყურებ, როგორ ინათებს, როგორ ცოცხლდება გარემო.

და საერთოდ, მგონი ადამიანის სულშია ის მთავარი, რაც გარემოს მშვენიერებას ნამდვილ მშვენიერებად აქცევს.

– თქვენ ისეთი განწყობა გაქვთ და საქმის ისეთი გაძლიერება უნარი, რომ შეუძლებელია, ეს არ გამოიყენოთ და მომავალშიც რაიმე სფეროში არ მოახდინოთ თქვენი თავის რეალიზება. რას აპირებთ?

– ჩემს მიზნებზე საუბარი არ მიყვარს. ის კი ნამდვილად შემიძლია გითხრა, რომ ჯერ დიდი დატვირთვით შრომა შემიძლია. ღამით ვამბობ ხოლმე: 15 წლით ჩემზე უფროსი ადამიანები აშშ-ში პრეზიდენტობას აპირებენ... ასე რომ, ჯერ კიდევ წინ არის ბევრი რამ. ვნახოთ რა იქნება...

ერთი რამ კი ვიცი, სადაც არ უნდა ვიყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემთვის ერთი დიდი და ხელშეუხებელი ღირებულება იქნება, რომლისთვისაც თავს არ დავზოგავ.

ესაუბრა ლელა მუჰაბანიანი



შვილიშვილებთან ერთად



საქართველოში მოგზაურობისას შვილიშვილებთან ერთად



ოჯახის ახალი წევრის გაცნობა. წინო თავის ახალშობილთან ერთად



შვილიშვილები



დიდი ოჯახი

# 2009 წლიდან დღემდე ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები. ყველაფერს, ცხადია, ერთი სტატიის ფარგლებში ვერ დავატყვედით, ამიტომ ვეცადეთ, შემთხვევითი შერჩევით პრინციპით გამოგვეკითხა თანამშრომლები და გვეთხოვა დაესახელებინათ მათთვის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2009 წლიდან დღემდე განხორციელდა. გთავაზობთ მიღებული პასუხებისგან შემდგარ ჩამონათვალს:

✓ დასრულდა თსსუ-ის ყველაზე ძველი – მეორე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაციის პროცესი და უკვე განახლებულ კორპუსში დაიწყო სასწავლო პროცესი;

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს დიდი ისტორიის მქონე „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა უამრავი დამთვალიერებელი. დროთა განმავლობაში, ცხადია, ყველა ექსპონატსა და პრეპარატს სჭირდება შესაბამისი მოვლა-პატრონობა, განახლება, აღდგენა. ეს ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოები ახლახან ჩატარდა და „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“ გაიხსნა მეორე სასწავლო კორპუსში;

✓ შეიღება და გარემონტდა პირველი სასწავლო კორპუსის ფასადი;

✓ პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბულზე დაშენდა სტუდენტური კაფეტერია და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით;

✓ 2022 წელს თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე გარემონტდა სადისერტაციო დარბაზი. ამავე კორპუსის ვესტიბულზე დაშენდა და სათანადოდ აღიჭურვა ერთი სართული, სადაც განთავსდა რეკრეაციული ზონა კვების ობიექტით, აგრეთვე საკონფერენციო და საბჭოების დარბაზები. ასევე, განხორციელდა დაშენება ამავე კორპუსის უკანა ფლიგელზე;

✓ მესამე სასწავლო კორპუსში ფუნქციონებს 210 სტუდენტზე გათვლილი საგამოცდო ცენტრი, აქვეა განლაგებული თეატრალური დარბაზი 420 მაყურებელზე – მოძრავი სცენით. ასევე, გაიხსნა ახალი, თეატრ „ჰიგას“ მცირე სცენა; ფუნქციონებს სპორტული ცენტრი ძალოსნობისა და კალათბურთის დარბაზებით;

✓ განხორციელდა მეოთხე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია დაშენებით;

✓ აშენდა მეხუთე სასწავლო კორპუსი;

✓ ახალ მეხუთე სასწავლო კორპუსში სპეციალურად გარემონტდა სივრცე თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკისთვის; კლინიკა აღიჭურვა უახლესი აპარატურით და ამჟამად განაგრძობს ფუნქციონებას ახალ ლოკაციაზე;

✓ 2015 წლის 25 მარტს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალტექნოლოგიური, მრავალპროფილიანი, 185 სანოლზე გათვლილი სტაციონარი — თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა;

✓ განხორციელდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის სრული რეაბილიტაცია და თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვა. პერმანენტულად მიმდინარეობს მისი მოდერნიზაცია. დასრულდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კორპუსზე მიმდინარე სამუშაოები;

✓ ახალ, გარემონტებულ შენობაში ფუნქციონა დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია;

✓ დასრულდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლი-

ნიკის მეორე კორპუსის მშენებლობა, რომლის პროექტი მომზადდა ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით;

✓ 2020 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკების რიცხვს შეემატა შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროცვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აღნიშნული კლინიკის წილის 40%-ის მფლობელია;

✓ დაწყებულია ახალი, მრავალფუნქციური შენობის (დაახლოებით, 12000 კვმ ფართობის) სამშენებლო პროცესი. შენობა განთავსდება ზ. ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) ქუჩაზე. აღნიშნულ შენობაში განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ფუნქციონისათვის აუცილებელი სივრცეები: ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, აფთიაქი, კლინიკური უნარებისა და მულტიმედია-რი სიმულაციის სასწავლო და საგამოცდო ცენტრი, OSCE – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური საგამოცდო 2 სივრცე - თითოეული 20 სადგურზე, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისთვის; საგამოცდო ცენტრი და სივრცე აკადემიური საქმიანობისათვის;

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, გააფორმა ხელშეკრულება ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის შესყიდვის მიზნით, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების საკუთარ ბაზაზე განსათავსებლად;

✓ გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შესყიდვასთან დაკავშირებით;

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და სანარმოო მიზნებისთვის შეიძინა 50 ჰა-ზე მეტი ნაკვეთი სართიქალასა და თელითში. აქ უკვე მიღებულია პირველი მოსავალი და შესაბამისად, ამ ნედლეულით, იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე წარმოებული პროდუქცია გავიდა ფარმაცევტულ ბაზარზე;

✓ ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშიც: აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტს და თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალში. კვლევით ინსტიტუტებში წარმატებით მიმდინარეობს თსსუ-ის დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და გრანტების სახით;

✓ კეთილმოეწყო თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, მოეწყო „ბედნიერების სკვერი“; უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია მონუმენტები: „ბედნიერება“, „ლირსება“, „მალიერება“, „თავისუფალი მოქალაქე“, „ბედნიერების გალაქტიკა“, „აი, მიზანი“ „სიყვარულის გალაქტიკა“ და „სიხარულის ემოცია“, რომლებიც თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, პროფესორმა არსენ გვენეტაძემ უსახსოვრა თავის ალმა-მატერს. ქანდაკების ავტორი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ცნობილი მოქანდაკე, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ლევან ვარდოსანიძეა;

✓ დაიდგა აფხაზეთის ომში დაღუპულ თსსუ-ის სტუდენტთა ხსოვნის მემორიალი;

✓ სასწავლო კორპუსების წინ მოეწყო „რექტორთა ხეივანი“;

✓ კეთილმოეწყო თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიები (დაახლოებით 12000 კვმ ფართობი), ავტოსადგომებით, რეკრეაციული ზონებით და გამწვანებით.



# თქვენი თანადგომა – ჩვენი გაბაჩავეის სანიტარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის მრავალწლიანი და წარმატებით გამოირჩეული ისტორია საუნივერსიტეტო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ცენტრთან არსებულ სხვადასხვა სახელოვნებო ჯგუფში გაერთიანებული ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭი ყოველთვის ქართველი თუ უცხოელი მსმენლის/მაყურებლის დიდ აღტაცებას იმსახურებდა. თუმცა წარმატებები საქართველოსა თუ მის საზღვრებს გარეთ გამართულ კონცერტებზე, პრესტიჟულ კონკურსებსა თუ ფესტივალებზე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა...

ცოტა შორიდან დაივწყებ და გაიხსენებ რთულ 90-იან წლებს, როცა ამჟამინდელი რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახლდათ. იუნესკოს კომიტეტის წევრი თსუ-ის ანსამბლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან, სხვადასხვა ფესტივალის ორგანიზატორებთან და აღსანიშნავია, რომ მაშინ პირველი „მეილი“, უცხოელ პარტნიორებთან და იუნესკოს კომიტეტებთან თანამშრომლობა ბატონი ზურაბის და დეპარტამენტის თანამშრომლების დახმარებით გახდა შესაძლებელი. ბუნებრივია, ჩვენივე განსაკუთრებით სასიხარულო იყო ბატონი ზურაბის რექტორის საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევა; ისევე, როგორც კანცლერის, ბატონი ზურაბ ორჯონიკიძის და მთელი ხელმძღვანელობისა... ახალი გუნდი მოვიდა ურთულეს პერიოდში, განახორციელა უნივერსიტეტის და საჭირო ცვლილებები და 2009 წლიდან დღემდე დღის უნივერსიტეტის განვითარებისთვის.

მოგეხსენებათ, სტუდენტთა კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შემოიღია ვიქეა, რომ ხელშეწყობა და თანადგომა ამ თვალსაზრისით

არც თსუ-ის კულტურის ცენტრს დაკლებია. ცენტრში მანამდე არსებულ სახელოვნებო ჯგუფებს დამატება ტრადიციული მუსიკის და სიმღერის გოგონათა ანსამბლი „დეკა“, კლასიკური მუსიკის ჯგუფი, ვოკალური ანსამბლი და სასცენო ხელოვნებისათვის ასე საჭირო სხვადასხვა სამსახური (განათების, გახმოვანების, სცენის მექანიკოსის); განახლდა და შეგვიძინეს ახალი რეკვიზიტები – ეროვნული კოსტუმები, სარეკლამო აფიშები... ღირსეულად აღინიშნა უნივერსიტეტისთვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თარიღი – თსუ-ის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო: ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ექიმები, სტუდენტები, თეატრი „ჰიგია“, ანსამბლი „ვეგა“ და სხვა შემოქმედებითი ჯგუფები, რომელთაც მაყურებელთა განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურეს. ასევე, დიდ მოწონებას იმსახურებდა ამ წლების მანძილზე უცხოელი სტუმრების პატივსაცემად უნივერსიტეტში გამართული კონცერტები.

2014 წელს თსუ-ის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის დაარსების 30 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თსუ-ის ადმინისტრაციამ და სტუდენტურმა თვითმმართველობამ, კიდევ ერთი სამახსოვრო საღამო მოგვიწყვეს თსუ-ის კურსდამთავრებულებს: სცენაზე წარდგინ

ქველი და ახალი თაობის მოცეკვავეები და მომღერლები; უდიდესი სიხარული და სითბო იღვრებოდა ანსამბლის ყველა წევრისგან, გამოსვლებებისა თუ მაყურებლისგან...

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დღეს თსუ-ის სტუდენტობას, კულტურის ცენტრთან არსებულ თეატრს, ანსამბლებს და სხვა შემოქმედებითი ჯგუფებს ულამაზესი, ახალი ტექნიკით და გახმოვანებით აღჭურვილი დარბაზი აქვს, რომელსაც სახელად „თეატრალური დარბაზი“ ეწოდა.

აღსანიშნავია თსუ-ის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის წარმოდგენილი კონცერტები უცხოეთის არაერთ ქვეყანაში. ევროპაში ანსამბლმა არაერთხელ ასახელა ქვეყანა და მშობლიური უნივერსიტეტი. 2019 წელს კი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დიდი ხელშეწყობით, მოხერხდა ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში, რომელიც თსუ-ის საპატიო დოქტორის, თბილისის და საქართველოს საპატიო მოქალაქის, ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) შინაგანი მედიცინისა და ნეუროლოგიის პროფესორის კენ ვოლკერის ხსოვნას მიეძღვნა; ანსამბლის კონცერტებმა აშშ-ში დიდი მოწონება დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი თარიღი გახლდათ თსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული დრამატული თეატრი „ჰიგიას“ საიუბილეო

20 წლისთავი, რომელიც თეატრმა, ჩვენმა უნივერსიტეტმა, მთელმა სამედიცინო საზოგადოებამ შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ანტუან დე-სენტ-ეგზიუპერის შედევრის მიხედვით დადგმული სპექტაკლის – „პატარა უფლისწულის“ – წარდგენით აღნიშნა; ეს იყო საოცრად დასამსოვრებელი და მნიშვნელოვანი წარმოდგენა ქვეყნის უპირველესი თეატრის სცენაზე, რომელსაც აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს.

ეს დიდი წარმატებები, კულტურის ცენტრის და სტუდენტთა დაუღალავი შრომის გარდა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, რექტორის, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორიას და კანცლერის, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძის, დამსახურებაა, რომელთა თანადგომასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა წლების მანძილზე, ამიტომაც მინდა, ცენტრის თანამშრომელთა და შემოქმედებითი ჯგუფებში გაერთიანებულ სტუდენტთა სახელით, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მათ.

**პატივისცემით,  
ბაქარი მაჭაპარიანი,  
თსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, პროფესორი და საერთაშორისო უსიტეციალური ლაურეატი, ქართული ქორეოგრაფიის ორდენ „აგაბდარის“ და იტალიის კულტურის პრემიის მფლობელი**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი მიღწევებით და წარმატებებით გამოირჩევა. ცხადია, ყველა წარმატების უკან დიდი შრომა დგას სტუდენტების, მათი მწვრთნელების, მაგრამ რომ არა ის საუკეთესო პირობები, რაც სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დახვდათ, ის ზრუნვა, რომელსაც მუდმივად გრძნობდნენ ადმინისტრაციისგან, გამარჯვებების მიღწევა ნამდვილად გართულდებოდა.

თსუ-ის სპორტის ცენტრის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორები, სავარჯიშო და ფიტნესის დარბაზები სტუდენტების აქტიური დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განმაპირობებელია. თსუ-ში ფუნქციონირებს: კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, ფრენბურთის (გოგონები/ვაჟები), მკლავჭიდის, ძალიანი სპორტის, რაგბის, მაგდის ჩოგბურთის, ბადმინტონის, ჭადრაკის სპორტული ჯგუფები.

თსუ-ის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად იმართება შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებები და ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სადაც ჩართულნი არიან თსუ-ის როგორც ქართველი, ისე საერთა-

შორის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

თსუ-ის ქართველ და საერთაშორისო სტუდენტთა წარმატებების მკაფიო დასტურია სხვადასხვა რანგის შეჯიბრში მათი სპორტული მიღწევების თვალსაჩინო ნუსხა.

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, სპორტის, და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ყოველწლიურად იმართება „სტუდენტური ფესტივალი“ და ამ მხრივ 2023 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი და შთაბეჭდვითი გამოდგა სამედიცინო უნივერსიტეტისთვის – საქართველოს 30-ზე მეტ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებელს შორის, თსუ-ის სპორტსმენები, როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ სახეობებში, თსუ-ის სტუდენტ ხელოვანთა მხარდაჭერა, ქულათა თანაბარი რაოდენობით, საქართველოს ტექნიკურ და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად, ფესტივალის უიურისა და ორგანიზატორების მიერ, გამარჯვებულად დასახელდნენ.

ახლახან, თსუ-ის საკალათბურთო გუნდმა (მწვრთნელები – ლაშა ელბაძე და ზურა მისიურაძე) ნახევარფინალურ სერიამ დაამარცხა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გუნდი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყო. ფინალურ სერიამ, რომელიც ორ გამარჯვებამდე გრძელდებოდა, თსუ-ის საკალათბურთო გუნდმა სძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ამ წარმატების შედეგად, ამიერიდან თსუ-ის გუნდი რანგით მაღალ – „ა“ ლიგაში ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაჩინო წარმატებებში, სტუდენტებთან, სპორტული ცენტრის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და მწვრთნელებთან ერთად, უდავოდ, მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და სტუდენტური თვითმმართველობის წვლილი. სწორედ მათი სისტემატური და აქტიური თანადგომის შედეგია, რომ თსუ-ს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების დიდ კოჰორტაში. მადლობა თსუ-ს ყველაფრისთვის!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრი ყველასთვის დასამსოვრებელ სპექტაკლებს ქმნის. თავისი არსებობის მანძილზე არა ერთი დღესასწაული აჩუქა თსუ-ელებს.

თეატრი „ჰიგია“ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტებს ხელოვნების და ერთმანეთის სიყვარულს ასწავლის, მაყურებელს კი საინტერესო სპექტაკლებით ანიჭებენ.

თეატრალური ცხოვრების მეათე წლისთავზე, თსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნათია გუჯაბიძემ, მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალს „ნილაბი“ დააარსა, რომელიც ყოველწლიურად არაერთი ქართული და უცხოური წარმოდგენით დასის მასპინძლად იქცევა ხოლმე.

თსუ-ის თეატრი, ყოველი ახალი წარმოდგენით, მაყურებელთა სიმპათიას და სხვადასხვა ნომინაციაში პრიზებს იმსახურებს. ასე მოხდა გასული წლის მინურულსაც, როდესაც მეცხრე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ „ნილაბი“ თსუ-ის თეატრალური დასის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში – „ძველი თბილისის მელოდია“ – მონაწილე ახალგაზრდა მსახიობებმა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა თსუ-ის სტუდენტებმა, არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვეს;

ამ დიდ წარმატებაში დიდად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და სტუდენტური თვითმმართველობის წვლილი, რომელთა მხარ-



დაჭერა ახალგაზრდული დასისთვის თვალსაჩინოა და ქალბატონი ნათია გუჯაბიძე მადლიერებით აღნიშნავს ამ ფაქტს.

მალევე მადლიერები ვართ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავის ნიაღში აცოცხლებს და უვლის ისეთ მნიშვნელოვან სახელოვნებო კერას, როგორც თეატრი „ჰიგია“.

„ხელოვნება უკვდავია“ – ამ გამოთქმას ხშირად ვისმენთ და ვკითხულობთ. თამამად შეიძლება დავამატოთ, რომ ხელოვნება სიცოცხლეს ანიჭებს და ახანგრძლივებს, მისგან მიღებული სიამოვნება, მართლაც რომ სულის მკურნელია.

და რამდენადაც ხელოვნება ასეთ მნიშვნელოვან ნიშას ავსებს ჩვენს ცხოვრებაში, იმდენად დიდად მადლიერება მათ მიმართ, ვინც მატერიალურად, ფიზიკური მხარდაჭერით თუ იდეის თანადგომით, ყველაფერს აკეთებდა, რომ ზემოთ, სახელად „თეატრი „ჰიგიას“ სპექტაკლები“, არ მოკლებოდა თსუ-ელ მაყურებელს და არა მარტო მათ. გმადლობთ!

